# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 72

„21" თებერვალი 2023 წ

ქ. თბილისი

**მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ. №18-ში (ს/კ. №01.10.18.006.221 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ზ.ა „ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205394633) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ. №18-ში (ს/კ. №01.10.18.006.221 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ზ.ა „ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205394633) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 თებერვლის №23.193.216 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ი.ზ.ა „ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205394633) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ. №18-ში (ს/კ. №01.10.18.006.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 17 ნოემბრის განკარგულება №21.1588.1772) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2021 წლის 19 ნოემბრის განკარგულება №535), მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შესასრულებელი ვალდებულებები, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში, ჩაეთვალოს შესრულებულად და ამავე განკარგულებით (2021 წლის 19 ნოემბრის განკარგულება №535 გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე